სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აპრილი, 2026 წ.

ბრძანება №01-12/75

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში
სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31 ბრძანების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 03 აპრილის №01-10/41 ბრძანებისა და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის №451693 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31_ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორებად **(ანაზღაურების გარეშე)**, 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 22 მაისამდე ვადით, დაინიშნონ შემდეგი პირები:

ა) **ქრისტინა რევაზიშვილი** (პ/ნ) - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი (2025-26 სასწავლო წლის მდგომარეობით);

ბ) **გიორგი კილასონია** (პ/ნ - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი (2025-26 სასწავლო წლის მდგომარეობით);

გ) **სალომე ჯორბენაძე** (პ/ნ) - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი (2025-26 სასწავლო წლის მდგომარეობით).

2. სტაჟიორების სამუშაო განრიგი განისაზღვროს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის მიერ.
3. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი ნინო მხეიძე.
4. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორს, დაევალოს არაუგვიანეს 2026 წლის 30 მაისისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და სტაჟიორებს.
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანწ ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე